European Union

gef

The GEF Small Grants Programme

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

# სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის

## ტყისა და სატყეო მიწების კატეგორიზაცია

27-28. 11.2015.

GREEN Alternative

www.greenalt.org

## ტყის ფონდისა და სატყეო მიწების კატეგორიზაცია სტრატეგიული ზონირება

- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესუსების მდგრადი გამოყენების საფუძველი

**პრობლემის არსი:**

- ეკოსისტემური მართვის პრინციპებზე აგებული ტყის ზონირების (კატეგორიზაციის) სისტემის არარსებობა

**რას იწვევს თანამედროვე კატეგორიზაციის არარსებობა?**

- ტყის ფასეულობების არასათანადო გათვალისწინება დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- ხელს უშლის ქვეყნის მდგრად განვითარებას
- წარმოშობს კონფლიქტს განვითარების/ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და გარემოსდაცვით ინტერესებს შორის
- ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ჰარმონიული განვითარება ფერხდება
- ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შეუქცევადი დეგრადაცია

## კატეგორიზაციის არსებული სისტემა

**ტყით დაფარული ტერიტორიები**

- „განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბანი“ („გფდუ“)

**ტყით დაუფარავი ტერიტორიები**

ა) საძოვარი, სათიბი, სახნავი, ბაღი, ბოსტანი, ვენახი;

ბ) მიწები, რომლებიც მოიცავს ვარჯშეუკვრელ კულტურებსა და სანერგეებს, ნაკაფებს, ნახანძრალებს, დაღუპულ კორომებს ...

გ) ტბორები, საგუბრები და სხვა;

დ) გამოუყენებელი მიწები - ჭაობები, ქვიშები, მყინვარები, კლდეები, რიყეები და სხვა;

ე) სპეციალური დანიშნულების მიწები, მოიცავს ინფრასტრუქტურით დაკავებულ მიწის ნაკვეთებს.

## არსებული სისტემის ხარვეზები

- არ არსებობს ასეთი კატეგორიები/ქვეკატეგორიები რუკებზე, კოორდინატების მითითებით
- არ არის განსაზღვრული კატეგორიების/ქვეკატეგორიების მართვის ფორმები და კანონმდებობის დონეზე
- რა მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა ამ კატეგორიებად დაყოფა?
- არ ყოფილა უზრუნველფოფილი კატეგორიზაციის პროცესში საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა
- ვერ იცავს ტყის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებებს

## შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისობა სახელმწიფო პრიორიტეტებთან

- საქართველოს ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური შეფასება, წინასწარი კვლევა (*TEEB Scoping Study for Georgia: Main Findings and Way-forward, 2013*). სამინისტროს/მთავრობის საქმიანობის ორწლიანი ანგარიში
- საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია (პარლამენტის დადგენილება N1742-Iს11.12.2013);
- 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020 - (მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014);
- „საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ (მთავრობის დადგენილება №89 09.03.2015)

## სატყეო მიწების კატეგორიზაციის ამოცანები

- ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება (კონსერვაცია);
- ტყეების ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნება, აღდგენა, გაძლიება და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა;
- ტყეების ეკონომიკური პოტენციალისეფექტიანი გამოყენება, გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;
- ტყის ეკოსისტემურ სერვისებთან დაკავშირებული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და სხვ.) ჰარმონიული, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- ტყეების ისტორიული, კულტურული და ტრადიციული სულიერი ღირებულებების გათვალისწინება და დაცვა.

## ჩვენი შეთავაზება საქართველოს ტყეების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით:

ტყისა და სატყეო მიწების დაყოვა 4 ნაწილად

1. დაცული და კონსერვაციული ტყეები
2. კულტურული და სარეკრეაციო დანიშნულების ტყეები
3. დაცვითი ტყეები
4. სამეურნეო (ან საექსპლუატაციო) ტყეები

## კლასიფიკაციის საფუძველი - „ევროპის ტყეების“ (MCPFE) კლასიფიკაცია

| კატეგორია | MCPFE-ის კლასები | | EEA | IUCN |
|---|---|---|---|---|
| 1. **დაცული და კონსერვაციული ტყეები** | I კლასი: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია აქტიური ჩარევის გარეშე | აქტიური ჩარევის გარეშე | A | I |
| | | მინიმალური ჩარევა | A | II |
| | | კონსერვაცია აქტიური ჩარევის გზით | A | IV |
| 2. **კულტურული და სარეკრეაციო დანიშნულების ტყეები** | კლასი 2: ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტების დაცვა | | B | III, V, VI |
| 3. **დაცვითი ტყეები**<br>4. **სამეურნეო ტყეები** | კლასი 3: დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება | | (B) | |

## დაცული და კონსერვაციული დანიშნულების ტყეები

სარეზერვო დაცული ტერიტორიები



ეკორეგიონული საკონსერვაციო გეგმა

- *წაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილები ს- ტყეები*
- *სუბალპური და ჯალის ტყეები*
- *WWF (2006)-ის მომზადებული დოკუმენტით განსაზღვრული სატყეო კვერტლები*

## კულტურული და სარეკრეაციო დანიშნულების ტყეები

- ტყეები, რომლებსაც აქვთ უაღრესად დიდი მნიშვნელობა რელიგიური და/ან კულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის;
- მწვანე ზონისა და საკურორტო ზონის ტერიტორიები;
- დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სამკურნალო დაწესებულებების, მინერალური წყაროების ირგვლივ არსებული ტყის უბნები;
- დაცულ ლანდშაფტებსა (IUCN-ის V კატეგორია) და მრავალმხრივი გამოყენების ზონების (IUCN-ის VI) კატეგორია) ფარგლებში არსებული ტყეები.

## დაცვითი ტყეები

- თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები;
- 35°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე მდებარე ტყის უბნები;
- რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები;
- საბაგირო გზებისა და სათხილამურო ტრასების გარშემო არსებული დამცავი ტყის ზოლები;
- მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირიდან 300 მეტრამდე სიგანის ტყის უბნები;

*საფუძველი:* **საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილება**

## სამეურნეო (საექსპლუატაციო)ტყეები

უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- ტყის მდგრადი მართვა,
- ტყისა და ტყის ნიადაგების დაცვა,
- ტყის ნიადაგის ნაყოფიერების და მისგან გამომდინარე სარგებლის შენარჩუნება.

- შესაძლებელია დროებით ან მუდმივად აიკრძალოს ტყითსარგებლობა ან/და დაწესდეს სხვა შეზღუდვები,
- შეიძლება დაარსდეს „ზურმუხტის საიტები“ ან ბუნების ძეგლები და იმართებოდეს შესაბამისი წესით.



დიდი მადლობა ყურადღებისათვის